N264 2015 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

ნ. ხადურისთვის „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის (საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი) საგრანტო წერილი-შეთანხმების" ცვლილების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 31 მარტის №112 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს მიენიჭოს „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის (საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი) საგრანტო წერილი-შეთანხმების" ცვლილების ხელმოწერის უფლებამოსილება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნ. ხადურისთვის „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის (საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი) საგრანტო წერილი-შეთანხმების" ცვლილების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე" საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 31 მარტის №112 ბრძანება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**